

▶ 14 – 3/2020

უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებაზე

უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 13 დეკემბრის განჩინება № ას-1183-2019

სსკ-ის 225 III მუხლი

შეგებებული სარჩელის წარდგენა და მისი წარმოებაში მიღებაზე უარის კერძო საჩივრით სადავოდ ქცევა არ ავალდებულებს სასამართლოს, გადადოს მანამდე დანიშნული სხდომა. აღნიშნული არ ითვლება საპატიო მიზეზად სსკ-ის 225 III მუხლის მიხედვით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მიზნებისთვის.

რედაქტორის შენიშვნა: მოპასუხეებმა წარადგინეს შეგებებული სარჩელი მას შემდეგ, რაც მათ ეცნობათ მთავარი სხდომის ჩატარების თარიღის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხეების გამოუცხადებლობის გამო, რაც მათ გაასაჩივრეს და მიუთითეს, რომ შეგებებული სარჩელის წარდგენისა და მისი წარმოებაში მიღებაზე უარის კერძო საჩივრით სადავოდ ქცევის გამო ვარაუდობდნენ მანამდე ჩანიშნული სხდომის გადადებას ან, სულ მცირე, სასამართლოსგან დამატებით შეტყობინებას სხდომის ჩატარების თარიღის უცვლელობასთან დაკავშირებით. მოპასუხეთა პოზიცია არ ყოფილა გაზიარებული არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლოების მიერ.

▶ 15 – 3/2020

ხანდაზმულობის ვადის დინების შეწყვეტა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარისას

უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 27 დეკემბრის განჩინება № ას-652-2019

სკ-ის 140-ე მუხლი

რედაქტორის შენიშვნა: დასაქმებულმა ორჯერ აღძრა სარჩელი დამსაქმებლის წინააღმდეგ და მისი სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ბრძანების ბათილობა მოითხოვა, თუმცა უშედეგოდ - სასამართლომ არ მიიღო სარჩელები წარმოებაში. სასამართლოსადმი მხოლოდ მესამე მიმართვა აღმოჩნდა წარმატებული. საქმის პირველი ინსტანციისთვის დაბრუნების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაჩივრებისას დამსაქმებელმა მიუთითა, რომ სარჩელის აღძვრა არ წყვეტს ხანდაზმულობის ვადას, თუ სასამართლომ ის წარმოებაში არ მიიღო, სკ-ის 140-ე მუხლის თანახმად, შესაბამისად, დასაქმებულის მოთხოვნა იყო ხანდაზმული. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ფუნქციურად სარჩელის განუხილველად დატოვება და მის მიღებაზე უარის თქმა ერთნაირი შინაარსის მქონე ინსტიტუტებია, რომელიც, შედეგობრივად, პირს არ ართმევს უფლებას, შემდგომში აღძრან იგივე სარჩელი. აქედან გამომდინარე, სკ-ის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილი ვრცელდება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარზეც, რაც, საქმის გარემოებების მიხედვით, ხანდაზმულობის ვადას წყვეტდა სასამართლოსადმი პირველად მიმართვის მომენტში. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს დასაბუთებით, მოსარჩელის მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული.